პროექტი

საქართველოს კანონი

სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში მოქმედი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დადგენისა და გამოყენების წესს.

2. ეს კანონი არ ვრცელდება საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებსა და აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სიმბოლოებზე. მათი გამოყენების წესი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 2

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. სახელმწიფო სიმბოლო - სახელმწიფოს გერბი, სახელმწიფოს დროშა და სახელმწიფოს ჰიმნი;

2. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო:

ა) საჯარო დაწესებულების ემბლემა;

ბ) საჯარო დაწესებულების დროშა და დროშების ერთობლიობა;

გ) საჯარო დაწესებულების დროშების და სიმბოლოების ერთობლიობა;

დ) საჯარო დაწესებულების ინსიგნია;

ე) სახელმწიფო და უწყებრივი ჯილდო;

ვ) საქართველოს სახელმწიფო სამხედრო და სპეციალურ დანიშნულების დაწესებულების სპეციალური ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმის) ნიმუში, სამხედრო და სპეციალური წოდების განმასხვავებელი ნიშანი, სამხედრო ძალების სახეობის, სამხედრო დანაყოფის და ქვედანაყოფის განმასხვავებელი ნიშანი.

ზ) მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა.

თ) საქართველოს სახელმწიფო ფულის ნიშანი;

ი) საქართველოს მოქალაქის პასპორტი, პირადობის (ბინადრობის) მოწმობა;

კ) საჯარო დაწესებულების ბლანკის ნიმუში, რომელზეც გამოსახულია სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები;;

ლ) სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომელზეც გამოსახულია სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები;

3. სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიება:

ა) სამხედრო აღლუმი;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის ფიცის დადება;

გ) საქართველოს ტერიტორიაზე გამართული სარიტუალო, საერთაშორისო, სადღესასწაულო ღონისძიება, რომელსაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს;

4. ემბლემა – საჯარო დაწესებულების (საჯარო დაწესებულების სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ან საჯარო დაწესებულების სისტემაში შემავალი/საჯარო დაწესებულების მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის) საქმიანობის და უფლებამოსილებების პირობითი სიმბოლური გამოსახულება, რომელიც შექმნილია საერთაშორისოდ დამკვიდრებული ჰერალდიკური ნორმების დაცვით;

5. ინსიგნია - საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობისა და უფლებამოსილებების პირობითი სიმბოლური გამოსახულება: დროშა, სამკერდე მედალიონი, კვერთხი;

6. დროშების ერთობლიობა - ერთი მხრივ, საჯარო დაწესებულების, ხოლო მეორე მხრივ - საჯარო დაწესებულების სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ან საჯარო დაწესებულების სისტემაში შემავალი/საჯარო დაწესებულების მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის იერარქიული ურთიერთდამოკიდებულების სიმბოლური გადმოცემა დროშების საშუალებით;

7. სახელმწიფო ჯილდო - ორდენი, მედალი, რომელიც განისაზღვრება კანონით;

8. უწყებრივი ჯილდო - მედალი, მედალიონი, სამკერდე ნიშანი, სიგელი, დიპლომი, რომელიც მტკიცდება საჯარო დაწესებულების შესაბამისი სამართლებრივი აქტით ამ კანონის მე-3 მუხლით დადგენილი წესით;

9. საჯარო დაწესებულება - „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაწესებულება.

თავი II. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს დამტკიცება, აღმართვა, გამოფენა და გამოსახვა

მუხლი 3

1. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს, აგრეთვე მისი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესს ამტკიცებს საჯარო დაწესებულება ან მისი ხელმძღვანელი, ხოლო მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - წარმომადგენლობითი ორგანო შესაბამისი სამართლებრივი აქტით საერთაშორისოდ დამკვიდრებული ჰერალდიკური ნორმების გათვალისწინებით. სიმბოლოს გამოსახულებისა და სიმბოლოს შინაარსობრივი დატვირთვის ურთიერთშესაბამისობის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის

სახელმწიფო საბჭოსთან (შემდგომში - ,,ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო“) წინასწარი კონსულტაციების შედეგად, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ განხორციელებული/გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე.

2. სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს, აგრეთვე მისი აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესს ამტკიცებს მინისტრი ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესი არ ვრცელდება სახელმწიფო ფულის ნიშანსა და სახელმწიფო ჯილდოზე. სახელმწიფო ფულის ნიშნის გაფორმებასა და დიზაინს ეროვნული ბანკის საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

4. მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულების, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, თავდაცვის სამინისტროს ფორმის ტანსაცმლის (უნიფორმის) ნიმუში დადგენილი წესით თანხმდება ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან.

მუხლი 4

1. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს შეთანხმების მიზნით საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი (მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - მუნიციპალიტეტის მერი) წერილობით მიმართავს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს,

2. მიმართვას თან უნდა ერთვოდეს:

ა) შესაბამისი საჯარო დაწესებულების სრული სახელწოდება, ხოლო თუ იგი სხვა დაწესებულების სისტემაში შემავალი საჯარო დაწესებულებაა - ამ დაწესებულების სრული სახელწოდებაც.

ბ) ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთვის მიმართვის საფუძველი;

გ) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს გამოსახულების პროექტი;

დ) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს აღწერილობა.

3. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო უფლებამოსილია საჯარო დაწესებულებისგან მოითხოვოს დამატებითი დასაბუთება. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს პროექტის განხილვაში და განხილვისას საკუთარი ინიციატივით წარმოადგინოს დამატებითი მონაცემები.

4. ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო შესათანხმებლად წარდგენილ სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს აფასებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების მიხედვით.

5. ჰერალიდკის სახელმწიფო საბჭო წარდგენილი პროექტის შეთანხმების თაობაზე დასკვნას იღებს პროექტის წარდგენიდან ერთ თვეში. თუ ამ ვადაში საბჭოს მიერ დასკვნა არ იქნა გაცემული, პროექტი ითვლება შეთანხმებულად, რის შემდეგაც ამ კანონის მე-3 მუხლით

გათვალისწინებული ხელმძღვანელი პირი ან ორგანო უფლებამოსილია დაამტკიცოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო.

6. საჯარო დაწესებულების მოქმედი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს ცვლილების ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმება ხდება ამ მუხლის პირველი-მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული წესით. ამასთან, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობებისა, წარდგენილ უნდა იქნეს ცვლილების დასაბუთება.

მუხლი 5

სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესი თანხმდება ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან.

მუხლი 6

დაუშვებელია სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს სხვა საჯარო დაწესებულების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოდ ან მის საფუძვლად გამოყენება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჯარო დაწესებულება სხვა დაწესებულების სისტემაში შემავალი, მისი მმართველობის სფეროში მოქმედი ან ამ დაწესებულების მიერ დაფუძნებული დაწესებულებაა.

მუხლი 7

1. საჯარო დაწესებულება სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს დამტკიცებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს დამტკიცების შესახებ სამართლებრივ აქტს უგზავნის ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს, რომელიც საკუთარ ვებგვერდზე აქვეყნებს მას 3 სამუშაო დღის ვადაში.

2. საჯარო დაწესებულება უზრუნველყოფს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებას საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 8

1. დაუშვებელია დადგენილი წესით ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებული და სახელმწიფო დაწესებულების მიერ დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს ნიმუშისა და მისი ნებისმიერი პარამეტრის ცვლილება, სახეცვლილი, დაზიანებული, ნიმუშისგან განსხვავებული შესაბამისი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს გამოსახვა, აღმართვა ან გამოფენა.

2. დაზიანებული ან სახეცვლილი სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო ჩამოიხსნება და აღარ აღიმართება/გამოიფინება/გამოისახება.

თავი III. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 9

1. ამ კანონის ამოქმედებამდე დამტკიცებული ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები, გარდა სახელმწიფო ფულის ნიშნისა და იმ სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებისა, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე შეთანხმებულია ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან, ამ კანონით დადგენილი წესით, ხელახლა უნდა დამტკიცდეს 2022 წლის 1 იანვრამდე.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე დამტკიცებული სიმბოლოების ცვლილების საჭიროების შემთხვევაში, სიმბოლო უნდა დამტკიცდეს ხელახლა, ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 10

დაევალოს საქართველოს მთავრობას 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ,,სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესი“, და ,,სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის წესი“.

მუხლი 11

ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 01 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*

ქუთაისი,
2018 წ.